№ 14 21 იანვარი, ხუთშაბათი. 1866—1882 21 იანვარი, ხუთშაბათი № 14.

რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზედ. ივ. მუხრანსკის სახლებ-ში კლუბის ქვემოთ

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროების“ რედაქციაში, ქუთაისში: ჭილაძის (გერარდის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“.

„დროების“ ფასი:

მთელის წლისა . . . 9 მან. | სამის თვისა . . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . . 5 მან. | ერთის თვისა . . . 1 მან.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით, ასოზე 1 კაპ., პატარა ასოებით ასოზე ნახევარი კაპ., ჩვეულებრივ... [illegible] ზე მაური.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს ერთი შაური.

ამა 1882 წელს ყოველ-დღიური გაზეთი

## „დროება“

გამოდის იმავე პროგრამმითა და რიგით და იმავ თანამშრომლების დახმარებით, როგორც აქამდინ გამოდიოდა.

### ხელის-მოწერა მიიღება:

თფილისში: „დროების“ რედაქციის კანტორაში, გოლოვინის პროსპექტზე, თ. ივ. კ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვემოთ.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა მოითხოვონ გაზეთი Въ Тифлисъ, Въ редакцію газ. „Дроэба“.

„დროებაზე“ და „ივერიაზე“, ორივეზე ერთად, ხელის-მოწერა არ მიიღება.

### ფასი ხელის-მოწერისა:

ერთის წლით: . . . . . . 9 მან. | სამის თვით . . . . . . 3 „
ნახევარის წლით . . . . . 5 „ | ერთის თვით . . . . . . 1 „

სხვავადით ხელის-მოწერა არ შეიძლება. ხვედრი ფული ხელის-მომწერმა გაზეთის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში. ვითხოვთ აგრეთვე, რომ თავის სახელი და გვარი და საცხოვრებელი ადგილი გარკვევით დასწერონ.

რედაქტორი სერ. მესხი.

გამომცემელი სტ. მელიქიშვილი.

საზაფხულო თეატრში

პარაკევს, 22 იანვარს

ქართული დრამატიული დასის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

იმპერატორის ალექსანდრე II-ს სახელობით თავ-შესაფარ სახლის სასარგებლოდ, მმორედ

## სამშობლო

დრამა 5 მოქმედებად და 7 სურათად, ფრანცუზულიდამ გადმოკეთებული თ. დ. ზ. ერისთვისაგან.

ახალი დეკორაცია: მეტეხის ციხე და ისტორიული ჩაცმულობა.

ბილეთები ისყიდება თეატრის კასსაში.

დასაწყისი 7 ½ საათზე

## ტელეგრამმა

(„სამხრეთ-რუსეთის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

**პეტერბურლი**, 19 იანვარს. ინგლისის ბანკმა 6%-მდინ ასწია დისკონტი, ოლლანდიისამ 5%, ბრიუსელის ნაციონალურ ბანკმა—ბელგიის ვექსილებისათვის—9%.

**პარიჟი**, 19 იანვარს. „*L'Union General*“-ის ბანკი (კლერიკალებისა), მთავრობის განკარგულებით, დაიკეტა. მინისტრებმა გადასწყვიტეს ფინანსიურ პროგრამმიდამ გამორიცხონ რენტის გამოცემა, სახელმწიფო ქალალდების სარგებლის შემცირება და რკინის გზების შესყიდვა მთავრობისაგან.

**ბერლინი**, 18 იანვარს. რეიხსტაგის სხდომები შესწყდა; ბიუჯეტი (სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის ანგარიში) მოკავშირეთა რჩევამ დაამტკიცა.

**პეტერბურლის ბირჟა**, 19 იანვარს.

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემისა— | 95— | „ |
| მეორესი— — — — | 91— | 5 |
| მესამესი — — — — | 91— | 75 ½ |
| მეოთხესი — — — | 91— | 25 ½ |
| მეხუთესი — — — | 90— | 75 |
| ალმოსავლეთის პირვ.— | 90— | 50 |
| ალმოსავლეთის მეორე | 89— | 75 |
| ალმოსავლეთის მესამე | 89— | 87 |
| ოქრო, ½ იმპერიალი | 8— | 4 |
| შინაგანის 5% სესხი ბილეთები: | | |
| პირველი სესხის — — | 216— | 50 ½ |
| მეორე სესხის — — | 215— | 75 ½ |

100 მანეთი ღირს:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონი — | 24—56 | პენსი |
| ჰამბურლი — | 209— „ | ცენტი |
| პარიჟი — — | 257—50 | სანტიმი |

## პროვინციალური გაზეთები

თფილისი, 20 იანვარს.

ერთი უმთავრესთაგანი დანიშნულება ყოველ პროვინციალურ გაზეთისა, როგორც მოგეხსენებათ, ის არის რომ საზოგადოებასა და თვით მთავრობასაც აცნობოს იმ მხრისა და ხალხისა მდგომარეობა, საჭიროება, ავი და კარგი, იმ ქვეყნის მოთხოვნილება, ლხინი და დარდი, და ერთის სიტყვით, ყველაფერი, რაც კი საზოგადო საქმეებს შეეხება იმ ქვეყნისას, სადაც ეს გაზეთი გამოდის.

ამ დანიშნულების შესრულება პროვინციალურ გაზეთს მით უფრო ადვილად და ქვეყნის სასარგებლოდ შეუძლია, რაც ის უფრო ნაკლებად დამოკიდებულია სხვა-და-სხვა გარეშე მიზეზებისაგან, რაც უფრო მომეტებული ნება აქვს მიცემული, რომ ყოველ საზოგადო დაჭირებაზე და ლხინზე თამამად და მოურიდებლად ილაპარაკოს და სწეროს.

სამწუხაროდ, ხშირად სატახტო გაზეთებიც არ არიან ამ გვარს მდგომარეობაში, პროვინციალურ გაზეთებს ხომ იმის ნახევარი დამოუკიდებლობაც არა აქვს მინიჭებული, რაც ზემოხსენებულ სატახტო გაზეთებსა.

უმთავრესი დამაბრკოლებელი მიზეზი შემაფერხავი პროვინციალურ სტამბისა ის გახლავთ, რომ რუსეთში საზოგადოდ ბეჭვდის შესახებ არ არის კარგად გარკვეული, განსაზღვრული კანონები.

აქედამ წარმოსდგება გაურკვევლობა რუსეთის სტამბის მდგომარეობისა. დღეს ერთის თქმის ნებაა, ხვალ არა, ზეგ შეიძლება, მაზეგ კიდევ არა—როგორ უნდა გამოიკვლიოს ჟურნალისტმა გზა ამისთანა მდგომარეობაში?

თვით ჩვენმა უმაღლეს მმართებლობამ იგრძნო ამისთანა მდგომარეობის მოუხერხებლობა და ამიტომაც ამ უკანასკნელის სამის წლის განმავლობაში...

«დროების» ფელეტონი, 21 იანვარი.

## მამის-მკვლელი

(მოთხრობა*)

ამ ხანში იაგო, მოუთმენლად ელოდა ნუნუს, რომლის დაგვიანებაც ისე აწუხებდა და აღშფოთებდა იმის გულს.

მთის ხალხი თითონ ბუნებისგანვე საზოგადოდ შეჩვეულია მოთმინებით მოლოდინს, მაგრამ იაგოს ამ ჟამად სრულებით დაჰკარგოდა ეს ჩვეულებრივი მოლოდინი და გული ძგერისაგან ვეღარ შეებორკილა.

ის ვინ იცის მერამდენედ მიიპარებოდა ლობესთან, გასცქეროდა აღგზნებულის თვალებით ნუნუს სახლს, მაგრამ იქ არავინ მოჩანდა და იმედგადაწყვეტილი ბრუნდებოდა ისევ მაღალ ბალახებში, რომელიც იმასა ჰფარავდა კაცის თვალისაგან.

იმას ათასმა აღგზნებულმა ეჭვით სავსე ფიქრმა გაურბინა თავში და უხურებდა იმას შუბლს. ამ მოუსვენარმა მღელვარებამ იაგო იქამდინ მიიყვანა, რომ ეღარც დაჯდომა მოეხერხებინა და ვეღარც ზეზე დგომა.

ბოლოს, როდესაც აზრი დაეღალა მუშაობისაგან, სხვა-და-სხვა სურათები შეუერთდა ერთად და გადაიქცა ერთმანერთში გადახლართულს არეულს საგნად, რომელსაც ის ვეღარ არჩევდა. იმას ვეღარ მიექცია აზრი განსაკუთრებით ერთი საგნისთვის. იაგო იქამდინ მივიდა, რომ თავ-ბრუ დაეხვა, მუხლები უნებლიედ ჩაეკეცა და ღონე მიხდილი ჩაჯდა. ასე თავ-დავიწყებაში, თითქმის ბურანში, დარჩა ის რაოდენიმე ხანი. ბოლოს თითქოს გამოღვიძებული, ღრმა, მაგრამ მოუსვენარი ძილისგან, რომელსაც არაფერი წაერთვა, ფერი მიეხადა იმისთვის, წყნარად აიღო იმან დაღონებული თავი და მწუხარებით შეხედა ცას, რომელზედაც გადაჭედილი იყო მხიარული ვარსკვლავები, რომელთა სხივიც მრთოლარედ კამკამებდნენ სივრცეში. ცისკარი კარგად გადახრილიყო, მაშასადამე ღამე ცოტაღა რჩებოდა, და ნუნუ კი მაინც არა ჩნდებოდა.

იაგო წამოდგა წყნარა, მივიდა კიდევ ლობესთან და კიდევ გახედა ნუნუს სახლს, საიდგანაც ჯერ კიდევ შუქი გამობჭყუტავდა.

იაგოს გაუკვირდა აქამდინ სახლის პატრონების ზეზედ ყოფნა, რადგანაც ამ დროს არც ბედნიერი დღე იყო და არც ავად-მყოფი ჰყავნდათ ვინმე, რომ იმისთვის ეთიათ ღამე. მაშ რა მიზეზი უნდა ყოფილიყო ნუნუს სახლობის უძილობისა?

ის წყნარად ავიდა და გადავიდა ლობეზედ, წყნარად და სიფთხილით გასწია ქალის სახლისკენ სადაც უნდოდა შეეტყო ნუნუს დაგვიანების მიზეზი.

ის მიდიოდა სიფთხილით, რადგანაც ეშინოდა გზაში მოულოდნელად არავინ შეეფეთებოდა და ამით მიზეზი არ მიეცა მეჭორე ხალხისთვის, რომელთაც ისე უყვართ სხვების საქმეზედ ლაპარაკი და სჯა. იაგო, სანამ დაადგამდა დედა-მიწას ფეხს, წყნარა შინჯავდა მიწის მდგომარეობას და თუ ქვას იგრძნობდა სადმე ისე მოხვევდა ბანდულებიან ფეხის გულებს, რომ ქვა უნებლიედ არ განძრეულიყო, არ გამოეღო ხმა და მით არ დაერღვია ღამის იდუმალი „გაჩქურება“. (გაჩუმება).

იაგო მიახლოვდა სახლის კარებს, ნიავსვით წყნარად ავიდა დერეფანზედ და კარებთან კუჭულში მიიკუნჭა. იმას უნდოდა შეეტყო რაზედა ლაპარაკობენ სახლში, ან ვინ არიან იქა, მაგრამ სახლიდგან ლაპარაკი კარგად ვერ გამოდიოდა და სარკმელი-კი მეტად მაღლა იყო, რომ შეცქერა შესძლებოდა; ამისთვის ის გამობრუნდა ამ ადგილიდან, სახლს მოუარა უკანა მხარე და ავიდა ბანზედ: იპოვა ერთი ერდოთაგანი, რომლებიც ისე ხშირად არის მოხევეების ბანებზედ და დაუწყო იქიდგან ყურება. იმის თვალს წარმოუდგა გაშლილი სუფრა, სახლის პატრონი, იმისი ცოლი და ორი სტუმარი, რომელთაც ვახ-

*) იხ. „დროება“ № 10.

ლობაში პეტერბურღის გაზეთებში ხშირად იწერებოდნენ, რომ დანიშნული არის ცალკე კამისია, რომელსაც ბეჭდვის შესახებ კანონების გამოცემა აქვს მინდობილი.

მთელი რუსეთი მოუთმენელად მოელის ამ ახალ კანონებს ბეჭდვის შესახებ. ყველას ჰსურს, რომ ახლანდელი გაურკვეველი მდგომარეობა შეიცვალოს და მტკიცე, თუნდაც უფრო სასტიკი კანონები გამოიცეს, მხოლოდ კანონი კი იყოს; იყოს კანონი და, ვიცოდეთ, რომ ვალდებულნი ვართ ამ კანონს ვემორჩილებოდეთ.

მაშ, ვინატროთ, რომ რაც შეიძლება მალე შეიცვალოს ახლანდელი მდგომარეობა, განსაკუთრებით პროვინციალურ ჟურნალ-გაზეთებისა და რაც შეიძლება მალე დამყარდეს იმისთანა წესი, რომელიც ამ ჟურნალ-გაზეთებს ერის ნამდვილ სამსახურის შეძლების ღონეს მისცემს.

## დღიური

რუსულ გაზეთებში იწერებიან, რომ ყუბანის მაზრის უფროსს ღენ.-ლეიტ. პარმალინს შეუდგენია როსტოვო-ვლადიკავკაზის რკინის გზის შავ ზღვასთან შეერთების პროექტი. ეს პროექტი გზის მინისტრისათვის წარუდგინია და, როგორც ამბობენ, ამ საგნის შესახებ, მინისტრთ კამიტეტს ამ მოკლე ხანში ექნება სჯა.

***

პეტერბურღის გაზეთებში დაბეჭდილია, რომ ერთ იქაურ კერძო თეატრში ამ თვის დამლევს სომხებს გაუმართავთ წარმოდგენა მცირე აზიის გაჭირებულ სომხების სასარგებლოდ. წარმოუდგენიათ გ. გ. სუნდუკიანცის სამ-მოქმედებიანი კომედია „პეპო".

***

მოსკოვიდამ მოვიდა ამბავი, რომ იქაურ სომხებსაც განუზრახავთ იმისთანა ქველ-მომქმედ საზოგადოების დაარსება, როგორიც ამას წინად ჩვენს ქალაქში დაწესდა. ამ თვის 10-ს ჰქონიათ იქ კრება ამ საგნის შესახებ და საზოგადოების წესდების შესადგენად კამისია ამოურჩევიათ.

***

ჩვენი ქვეყნის ყოველის მხრიდამ: კახეთიდამ, ქართლიდამ და იმერეთიდამ დიდ ზამთრის, თოვლის და სიცივის ამბავს გვწერენ. განსაკუთრებით ქართლიდამ გვაცნობებენ, რომ ამისთანა ზამთარს დიდი ხანია არ მოესწრებიართო.

***

გორიის სოფ. ვაკეჯვრიდამ გვწერენ, რომ ეს სოფელი ამ იანვრის პირველიდამ წირვა-ლოცვას და ყოველ მღვდელ-მოქმედებას მოსპობილიაო, რადგან ადგილობრივი მღვდელი ისეთ ნაირად გალახულია, რომ ადგილიდამაც დაძვრაც კი უჭირსო. ახალ წელიწადს დღეს ეს მღვდელი ცოტათი შექეიფებულა, ერთს გლეხთან ჩხუბი აუტეხია, გლეხს დამბაჩა დაუკრავს თავზე და ორივე გაუტეხია: დამბაჩაც და თავიც.

***

ბაქოს გაზეთს კასპში იწერებიან, რომ კასპიის ზღვაში გაყვანილი ტელეგრაფის მავთული (კაბელი), რომელიც ამას წინად წამხდარი იყო, ახლა გაასწორეს და ისევ მოქმედებსო.

ამავე გაზეთის სიტყვით, კრასნოვოდსკის ნავთ-სადგურში გაჩერებული ხომალდი „თავადი მელიქოვი", რომელშიაც ზღვის წყლის დასაწმენდი მაშინა ადგა, დამწვარა და დაუძირავს. ხალხი კი ვინც ამ ხომალდზე იყო, მშვიდობით გადარჩენილა.

## „დროების" კორრესპონდენცია

**ქუთაისი, 14 იანვარს.** ეს ერთი კვირაა, რაც აქაურს ქალაქის რჩევაში მუდამ დღე სხდომებია და გაცხარებული ბაასი აწმყო წლის ხარჯთ-აღრიცხვის (**смѣта**) დასამტკიცებლად, გამგეობის ზოგიერთი თანამდებობის მოსასპობლად და ზოგიერთისათვის ჯამაგირის მოსამატებლად თუ მოსაკლებლად. დღემდის, თოთხმეტ იანვრამდის ხარჯთა-აღრიცხვის დაბოლოვებით დამტკიცება ვერ მოასწრეს, მხოლოდ ზოგადად დასახული კი არის, რომლიდამაც ვტყობულობთ, რომ ქუთაისის „უზურში" 21,000-ოდე მანეთი იქნება დეფიციტი...

წუხელის სხდომაზე დამსწრე თითქმის მთლად შეკრებილ ხმოსნებს და მრავალ კერძო მაყურებლებს ღამის პირველ საათამდის მოუხდათ ყოფნა რჩევის დარბაზში. ამისთანა „გახურებული" სხდომა და „გაცხარებული" ბაასი, მალ-მალ ოხუნჯობითა და მასხრობით და ხანდისხან კი მუქარით შეკმაზული—ჯერ არ მოსწრებია ქუთაისელებს.

იხილავდნენ გამგეობის ჯამაგირებს. ქალაქის თავის ჯამაგირი წინანდელ სხდომაზედვე, ე. ი. 12 იანვარს, შეუცვლელად დასტოვეს უბაასოდ. მაგრამ როცა ჯერი მიდგა გამგეობის მეორე წევრის ჯამაგირზე, მაშინ კი დატრიალდა ჯარი! ხმოსნები გაიყვნენ ორ თანასწორ ბანაკად: ერთი თხოულობდა, რომ ნაცვლად ექვსასი მანეთისა მეორე წევრსაც პირველი წევრის ოდენი, ე. ი. 1,200 მან. ჯამაგირი დაენიშნოსო და მეორე იძახდა ორივე წევრს რვა-ას-რვა-ას მანეთი დავუნიშნოთო, რადგანც შეძლება არა გვაქვს, დეფიციტი გვედებაო და სხვ... კენჭი ჰყარეს და ორთავე ბანაკს თანასწორი რიცხვი ხმებისა ამოუვიდა, ასე რომ, სამშაბათს ეს კითხვა ვერ გადასწყდა და გუშინისათვის იქმნა გადმოდებული. გუშინ ხელ-ახლავ ჰყარეს კენჭი და გაიმარჯვა მომატების მსურველ ბანაკმა, რომელსაც შეადგენენ მთლად ჩინოვნიკები წინაალმდეგი დასი—ვაჭრებისა. სხვა დასი და სხვა მოღვაწენი, ერთი ორი კაცის გარდა, ჩვენს რჩევას არა ჰყავს...

ამის შემდეგ უნდა დაესახელებიათ კანდიდატები და კენჭი ეყარნათ რჩევის წევრობაზე, რადგანაც ეს თანამდებობა სავაკანტო იყო დღემდის და დროებით ისრულებოდა პეტერბურღის უნივერსიტეტის სტუდენტისაგან ა. გაბაშვილისაგან. კანდიდატებად წერილებით დასახელებულ იქმნენ: ა. გაბაშვილი 20 ხმით, ანტ. ქურციკიძე—11 ხმით და მიქიაშვილი—6 ხმ. უყარეს კენჭი და ხმის უმრავლესობით ამორჩეულ იქმნა პირველი კანდიდატი. მეორეს შავი უმრავლე მოუვიდა თეთრზე. მესამესათვის აღარ უყრიათ კენჭი, რადგანაც მისს დამსახელებლებმა უარ-ჰყვეს ამის შემდეგ მისი კანდიდატობა.

რჩევის წევრის ამორჩევამდი ბაასი იყო გამგეობის აღმასრულებელი მოხელეს თანამდებობის გაუქმებაზე. ერთი ყვირილი და ვაი უშველებელი! ქალაქის თავი, რომელიც ამ ორს სხდომაზედ უბრალო ხმოსან-დამსწრეთ იყო, იცავს ამ თანამდებობის საჭიროებას, სოლომან ღულაძე ეგ *perpetuum mobile*—დავოცისა—ამბობს, რომ მეტია ეს თანამდებობა მაშასადამე მოსპობის ღირსიო. მივიდა საქმე, როგორც იქნა, კენჭის-ყრამდე და მოსპეს აღმასრულებელის მოხელეს თანამდებობა.

---

შამი გაეთავებინათ და საყველაწმინდოს-ღა სვამდნენ.

რასაკვირველია ორივე სტუმარი იცნო იაგომ, რადგანაც ესენი იმის სოფლელები და მეზობლები იყვნენ.

მაგრამ რა უნდოდათ ნუნუს სახლში ამ დროს, აი რის გაგება სურდა იაგოს.

— უფალმა კეთილი ჰქნას ჩვენი საქმე, კეთილი! შემოესმა იაგოს სტუმრების ხმა და პირველი სიტყვებიდგანვე გაიგო საცოდავმა მიჯნურმა, რომ ლაპარაკი ნუნუს გათხოვებას შეეხებოდა.

— მაშ ნუნუ დანიშნეს?! უნებურად და მწუხარებით წამოიძახა იმან და გული ხელ-ახლად აუდუღდა.

— ურვათისა-კი არ დაივიწყოთ, დაიწყო ონისემ.

— აბა ურვათს რაილა დაგვავიწყებს, მისცეს პასუხი.

— არ დაივიწყებთ და თქვენ პატივისცემასაც გადაგიხდით, ღვთის მადლმა! ჩაურთო მახიამ.

— დიდი მადლობელი, მადლობელი მახიას დარჩენამა. ჩვენთვის მაგაზედ უკეთესი პატივის-ცემა რაილა იქნების, რომ ჩვენ გაწბილებულები არ გაგვზავნეთ, მიფერებით ეუბნებოდნენ სტუმრები, რომელთაც ქეიფის გამო ენის დაბმა დასტყობოდათ.

— აბა, თქვენც კარგად იცნობთ იაგოსა, დაიწყო ისევ მახიამ.—გულადობით გინდათ, თუ მუშაობით ხევში გათქმული ვაჟია და ისიც კი გვთხოვდა ნუნუსა და თქვენის ხათრით იმასაც უარი ვუთხარით.

— რაია იაგო? წყენით უპასუხა ერთმა სტუმარმა.—მებატონის ყმაა ცხო რაი?.. არცა მიწა იმისათვი, არცა სახლი და არცა კარი!.. იმას კაცობა რო ჰქონდეს, თავის მამის სისხლს არ აიღებდა?

— ჰაი, ჰაი, რომ აიღებდა! აიღებდა უფლის მადლმა! წამოიძახა ონისემ და მემრე დაუმატა:—ან ურვათს საით აუვიდოდა?

იაგოს ეს სიტყვები ლახვრად ხვდებოდა გულში და აგონებდა თავის წარსულს. იმას თვალ-წინ წარმოუდგა თავისი დედა, როდესღაც თავისუფალი, ღალატით და ძალით გაყიდული ერთს მებატონეზედ; მოაგონდა, თავისი მამა, რომელმაც სული დალია მამულისთვის ბრძოლაში; მოაგონდა ბოლოს დაქვრივებული უპატრონო თავისი დედა, რომელიც უსამართლობით და ძალით ყმად იქნა ჩაწერილი და ჩაჰკიდა თავი. ის წაიღო ღრმა ფიქრებმა, რადგანაც ის თავის მეზობლების სწორი, როდესღაც განთქმული თავისუფალი გვარის, დღეს შექნილიყო ყმად და სხვების უსამართლობას, სხვების ძალის მოტანას დღეს იმას უსაყვედურებენ, თითქოს ყველა ამაში ის ყოფილიყვეს დამნაშავე... ის მეზობლები, რომლებიც შემთხვევით გადარჩენილიყვნენ იაგოსთანა დღეს და მარტო შემთხვევით შეეძლოთ თავის თავისთვის დეეძახნათ სახელმწიფო თავისუფალი გლეხები, ისე მკაცრად ჰკიცხამდნენ იაგოს ქცევას.

საკვირველი და საწყენი იყო ონისეს და იმის სტუმრების სიამაყე, როდესაც იმათი მდგომარეობაც სანატრელი არ იყო და თითონ სიტყვაც „თავისუფალი გლეხი" თავის მნიშვნელობას ჰკარგამდა.

მაშ რაღად აკლებდნენ იაგოს იმ ბედნიერებას, რომელზედაც ყველა ცის ქვეშ ქმნილებას ნება ჰქონდა.

— იმისთვის რომ ის ყმად დაიბადა, და შეიქნა?

განა იაგო იყო ამაში დამნაშავე?

ყველას ამას, თუმცა გაურკვევლად, მაგრამ ბუნდად მაინც ჰგრძნობდა იაგო და ეს გრძნობა იყო ისე სატანჯველი, სამწუხარო იმისთვის, რომ გონება ერეოდა და ბრაზზედ მოჰყვანდა.

იმან ველარ გასძლო იმათი ყურება და წამოდგა, მაგრამ წამოდგომასთან ერთად, იმას წარმოუთქმელად მოუნდა ნუნუს ნახვა, ერთი თვალის მოკვრა მაინც, რათა ენახა, შეეტყო, შეემჩნივა იმის სახეზედ, ისიც თანაუგრძნობდა იმ ხალხის გადაწყვეტილებას და აზრს თუ არა.

— ალბად ისიც თანაუგრძნობს, გაიფიქრა იაგომ თავისთვის და გასცდა სენის ერდოს, მაგრამ ბანის პირს ველარ მიაღწივა და საჩქაროდ გამობრუნდა ამ ერდოსთან, რაიდგანაც იმედი ჰქონდა თავის სატრფო დაენახა.

სენაში ჩაიხედა თუ არა, იმას დაუწყო გულმა ძგერა და დაინახა დალონებული, მოწყენილი და თვალებ ცრემლ მორეული ნუნუ, რომელსაც

ჯერი მიდგა ბუხგალტერის თანამდებობაზე. ხმოსანთ რიცხვი კვლავ ორ თანასწორ ნაწილად გაიყო. ერთის აზრით (ჩინოვნიკებისა) ეს თანამდებობა აუცილებელი საჭიროებაა და მეორესი (ვაჭართ) მსჯელობით სრულიად მეტია, რადგანაც მაინცადამაინც ბევრი საანგარიშო გამგეობას არა აქვს-რა და ამ თანამდებობის ასრულება შეუძლია ერთ-ერთს წევრთაგანსო. პირველად ლაპარაკი ამის შესახებ ხვდა ჩინოვნიკების ბანაკს, რომელიც ბუხგალტერის საჭიროებას იცავდა. მათ წინაადმდეგ გამოინავარდა სოლომონ ღულაძემ, მას გამოჰყვა დ. ალავიძე—ეგ მემკვიდრე სოლომონის ყბედობისა, და ორთავეს მხარი დაუჭირა ზორბა ისააკ პურადაშვილმ, რომელიც ერთობ ლუნწობს ჯამაგირების დანიშნვაში... ამ „ორატორებს“ (იმე!) წინაალუდგნენ ვ. აბულაძე, ანტ. და პირ. ლორთქიფანიძენი და ზოგიერთნი სხვანი. სათანადო ბაასი თანდისთან უხამს უბედობად გადიქცა, გაიმართა მასხრობა, „ძაღლი პატრონს ვერ ცნობილობდა! „შეწევნითა ღვთისათა“ ამ კითხვასაც კენჭი უყარეს. კიდევ ორ თანასწორ ნაწილად გაიყო აზრები. ორივეს მხრით 22—22 კენჭი ამოვიდა. ეტყობოდა ორივე ბანაკი წინდა-წინვე დაწყობილის პლანით, რაც ჩვენში იშვიათია, გარკვეულის მიზნით და თავისი აზრის გატარების დიდის სურვილით მოსულიყო. ორივე მხარე იძახდა: „გავიდა ჩვენი აზრიო“ (თავიდამ?!), რადგანაც მოწინააღმდეგე ვერ გაგვიშავესო. ბუხგალტერის თანამდებობის დამცველნი ამბობდენ, რადგანც მოსპობის მომხრეთ უმრავლე კენჭი არ შეხვედრია და თვითონ ბუხგალტერის კენჭიც თეთრად უნდა ჩაიგდოსო, ამიტომაც მოხსენებული თანამდებობა რჩება ისევო. არ დაუჯერეს. ხელ-ახლავ ჰყარეს კენჭი. ხელახლავ ორ თანასწორ ნაწილად გაიყო ხმები: შავ-ბედითი 22 კენჭი ორსავ მხარეს ხვდა ორივე იმეორებს: —არა, ჩვენია გამარჯვება!—არა, ჩვენიაო! შეიქნა ჩოჩქოლი. ჰყვირის სოლომონი. ერთი ხმოსანი ვერ ითმენს და იძახის:

—ამ სოლომონს იჯარით ხომ არ აულია ლაპარაკი, ჩვენც გვაცალოს რამეს თქმა! ბ. თავსმჯდომარე, ნებას ნუ აძლევთ სოლომონს განუწყვეტლივ ლაპარაკისას!

ითქვა სოლომონის „მჭევრ-მეტყველობამ“:—რათაო? იმე... და სხვ.

—ბ-ნო, თავი დაანებეთ ღულაძეს, თორემ გათენებამდის გაგიგრძელებს დავობასო! ეუბნება ამ ხმოსანს ანტ. ლორთქიფანიძე, რომელიც ცოცხალი „ხუმარა“ არის ქუთაისისა. სიცილი დამსწრეთ შორის.

ამ სიცილისა და ორთავე ბანაკის დავობის დროს ისააკ პურადაშვილის წინადადება შემოაქვს, რომ ეხლავ დაიკეტოს გამგეობის კასსა მოულოდნელის რევიზიის მოსახდენად. ეს წინადადება მით უფრო უწინააღმდეგობით იქმნა მიღებული, რომ 1175 წლიდამ ამ კასსას რევიზია არ ღირსებია. რაც შეეხება ბუხგალტერის თანამდებობას—ამის თაობაზედ ხვალინდელ სხდომაზედ მოილაპარაკებენ კიდევ.

დღეს რევიზია არის კასსისა. ფულების რაოდენობას ალბად დღესვე შეიტყობენ—ბევრი არ იქნება მე შენ გეტყვი!—და ანგარიში—მსვლელობის კი ასე ადვილად ვერ მოჩრჩებიან. დღეს დილით ვიყავი გამგეობის სადგომში, სადაც სარევიზიო კამისიაა, რომელიც შესდგების: დ. ნ. ბაქრაძისაგან, დ. ნ. აბდუშელიშვილისაგან დ. ალავიძისა და ისააკ პურადაშვილისაგან, თანა დასწრებით ივ. ს. მესხისა, რომელიც რჩევის წევრობასთან კასსირადაც არის. ოფლის ღვრით ითვლიდნენ კასსის ფულებს. მათდა სამწუხაროდ ცოტა კაპიტალის დათვლას დიდი ჯამაგირი უნდება: სულ წვრილ-წვრილი ფულებია, თითქმის ორასი მანეთის მარტო ორ-ორ კაპეიკიანები ყოფილა! არ შეგეძლოთ, ბატონებო, ანგარიში! ჩვენ კი იმედი გვაქვს არ შევსცდებით, რადგანც თქვენს შორის იმერეთში განთქმული ფინანსისტებიც ურევია...

ახალი ამბავი:

ამ წერილის შინაარსს შემოკლებით ტელეგრამებით გიგზავნიდით, დღეს დილადრიან მაგრამ სატელეგრაფო სადგურზედ არ მიიღეს: „ახალის კანონით, ქალაქის რჩევის გარდაწყვეტილებანი, თუ გუბერნატორმა “ნება არ დართო, ისე ტელეგრაფით არ გაიგზავნებისო.„ რაღა გაეწყობა. წაველი გუბერნატორისას... სძინავსო... ნახევარ ადლს სამაღლე თოვლში წინ-და-უკან სიარულმა კინაღამ ისე ისე გამაცივა, რომ ვერავითარი სპირტი ველარ გომომათბობდა და ისევ ვარჩიევ ტელეგრამმით გამოგზავნისათვის თავი დამენებებინა. მაშ ნურას უკაცრავად, ბ. რედაქტორო და ჩემი ქუთაისულნი მკითხველები ამბავის სწრაფად უცნობლობისათვის. ვერ გიამერიკელკორრესპონდეტთ, მაგრამ რა ვქნა, რომ ზოგიერთი „ზაკონის“-კანონები არა ჰგავს ამერიკისას და ვერც თქვენ ბრძანდებით გონია, ამერიკელი მკითხველნი, რომელნიც თავიანთს გაზეთს და მწერლებს იმდენს საშვალებას და სახსარს აძლევენ ყოველ მხრივ, რომ ამისთანა დაბრკოლება ათასიც რო შეხვდეს იქაურს მოამბეს ათას ნაირადვე დაუვლის და თავისას მაინც იქს...

ჭ.

# უცხოეთი

(გაზეთებიდან)

**საფრანგეთი.** საფრანგეთში კიდევ მოელიან ახალს აჯანყებას თუნისში ზამხულისათვის და ეხლავე იღებენ ეგვიპტეში და სტამბოლში სხვა-და-სხვა ზომებს ამ გვარის აჯანყების თავიდამ ასაცილებლად. ზოგიერთი საფრანგეთის გაზეთები ხონთქარს სდებენ ბრალს, რომ ვითომ ის აჯანყებდეს საფრანგეთის წინააღმდეგ არაბეთის ტომთ.

—

**ოსმალეთი.** ოსმალეთის მმართებლობას გარდაუწყვეტია, რომ ხონთქრის ქვეშევრდომ ქრისტიანეთაც იხადონ სამხედრო სამსახური ოსმალეთის მხედრობაში.

— ერთი ნემეცური გაზეთი ამბობს: „სარწმუნოდ შევიტყეთ, რომ ოსმალეთის მმართებლობას სურვილი აქვს წინაალუდგეს ავსტრიის მოქმედებას ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში“.

— ფრანცუზულ გაზ. Temps-ში სწერენ ოსმალეთზე: ოსმალეთის ბატონობა სხვა-და-სხვა ხალხზე დამღუპავად დაინახეს და ეს იყო მიზეზი, რომ ოსმალეთს ბევრი ქვეშევრდომი ხალხები ჩამოერთვა ამ უკანასკნელ წლებში. ბერლინის კონგრესის მაგალითმა ცხადად აჩვენა ოსმალეთს, რასაც უნდა მოელოდეს ის ევროპის სახელმწიფოთაგან. რატომ ჩამოართვეს მას ერთი მესამედი თავის სამფლობელოისა ბოსფორის აქედ მხარეს? (სერბია, რუმინია და სხვ.)? იმი-

---

სახეზედ ეტყობოდა ის მწუხარება, რომელიც გამოევლო ამ ცოტა ხანში.

იაგო კარგა ხანს უყურებდა იმას, თანაუგრძნობდა იმის მდგომარეობას, მაგრამ იტანჯებოდა, რომ ნუგეში ვერაფრით მიეცა და სიმორის გამოხმის გაცემა ვერ გეებედნა; თუმცა იქნება ახლოც რომ ყოფილიყო, იმ მდელვარებაში ძნელად მოახერხებდა სიტყვის გაცემას.

ბოლოს იაგომ აიღო კენჭი, დაუმიზნა და წყნარად გაუშვა. კენჭი წავიდა ტრიალით და ქალს პირ-და-პირ კალთაში ჩაუვარდა. ნუნუ შეკრთა, წამოხტა და შემოიხედა მაღლა. იმან დაინახა იაგო, რომელიც გაშმაგებულის თვალებით უყურებდა და აიღიმა.

რამდენიმე წუთის ცქერამ დაუმტკიცა იმათ, რომ ისინი ერთმანერთისათვის გაჩენილან და იმათი სიცოცხლე უერთი-ერთმანერთოდ შეუძლებელი შექნილიყო.

იაგომ ველარ გასძლო და მრთოვარე, მაგრამ გაფთხილებულის, ჩუმის ხმით ჩასძახა:

— საჩალეში გამოხვალ?

— არც-კი გითხარ. მისცა ნუნუმ პასუხი, ისეთისავ ჩუმის ხმით.

— ჩამოვდნი შენის ლოდინითა.

— აბა რაი, ვქნა? ფეხი აღარ წაიტეხეს სტუმრებმა და ჯერ არც ვინ დაწოლილა.

— მაშ მოგიცადო? ჰკითხა იაგომ, რომელიც მაინც ვერ მოშორდებოდა ამ ადგილებს, თუგინდ ნუნუს უარიც ეთქვა გამოსვლაზედ.

— შენ იცი! მოკლედ უპასუხა ნუნუმ მხრების აწევით და ისეთის ხმით, თითქოს უნდოდა ესაყვედურა ამ გვარის კითხვისთვის.

ამ დროს შემოვიდა მახია, რომელსაც სტუმრები გაეცილებინა და დასაწოლად მოდიოდა. იაგო და ნუნუ გაჩუმდნენ.

— რას უზიხარ, ქალაუ! რად არ დაწვები? ჰკითხა მახიამ.

— ჯერ შენ არ დაწოლილხარ და მე საიდ დავწვებოდი? წყნარად უპასუხა ნუნუმ.

— გაშალე საბან-გობანი და დავწვეთა.

ნუნუმ სიხარულით აასრულა მახიას სურვილი, საჩქაროდ გაუშალა ყველას საგებელი და დააწვინა.

მერე შეხვია კერაში ცეცხლი დააქრო ჩირაღები და თითონაც მიწვა, ისე გაუხდელი.

ღამე ცოტაღა რჩებოდა და რასაკვირველია უძილო ხალხს ჩქარა უნდა დაზძინებოდა, მაგრამ წარმოიდგინეთ ნუნუს გაკვირვება, როდესაც ერთბაშად მოისმა მახიას ხმა:

— ნუნუ, წაგეძინა?

ნუნუმ თუმცა გაიგონა ეს კითხვა, მაგრამ ხმა გაკმინდა და ფშვინას მოუმატა, როგორც ხშირს ძილში მყოფმა ადამიანმა.

— ნუნუ, არ გესმის?

ქალმა კიდევ ხმა არ გასცა.

— რა ძილქუში დაგაწვა, რაი მოგივიდა?.. ნუნუ!

— რაი გინდა? გაჯავრებით უპასუხა ნუნუმ.

— ბობანაი (ჟეიბი, ძირს საგები) ჩემკენ მოიწიე, მინდა რაიმე გითხრა.

— მახიასი მეძინების; რაიღა ლაპარაკისაა, საცაა გათენდების, უპასუხა ნუნუმ და გადაბრუნდა ხერინით მეორე მხარეზედ.

— მოიწიე მეთქი, სათქმელი მაქვს რაიმე.

ნუნუმ გადაწყვიტა, რომ რამდენსაც უნდა ლაპარაკებოდა მახია, მაინც ხმა არ გაეცა და ამ გვარად თავიდან მოეშორებინა უდროოდ, უბედოდ ავარდნილი დედაკაცი, რომელიც უეჭველია, სასიამოვნოს არას ეტყოდა.

— ნუნუ!.. ქალაუ!.. აი, ნულარ გაგაღვიძოს წმინდამ გივარგიმა, კაი ადამიანი შენა ხარ!.. არ გესმის? იძახდა მახია, მაგრამ ჯავრობა და ლაპარაკი აღარ შველოდა, რადგანაც ნუნუ პასუხს არ აძლევდა.

მახიამ რამდენჯერმე წამოიწია ასადგომად მაგრამ დაზარდა, კიდევ რამდენჯერმე ეცადა ძახილით ნუნუს გაღვიძებას, მაგრამ ძილმა ჩქარა თავი მოსჭრა და თვალები დაუხუჭა.

ა: მოჩხუბარიძე

(გაგრძელება.)

ტომ, რომ მან ვერ შესძლო მათი მმართვა.

რატომ ჩამოსჭრეს მას ეპირი და თესალია და მიაკედლეს საბერძნეთს? იმიტომ, რომ საბერძნეთი უფრო შემძლეედ იცნეს ამ ახალი ქვეშევრდომების გაბედნიერებისა, ვინემ ოსმალეთი. ოსმალეთს სთხოვენ, ვალდებულად ხდიან რომ რეფორმები შემოიღოს სომხეთში, და რადგანაც ამ მოთხოვნილებას არ ასრულებს, შესაძლებელია, რომ ეს ქვეყანაც ჩამოერთვას. ხონთქარს კარგად უნდა ესმოდეს, რომ მისი მდგომარეობა ევროპის სახელმწიფოთა შორის ბეწვზედაა ჩამოკიდებული.“

# განცხადებანი


დაიბეჭდა და ისყიდება ბრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

**მამულის**

**საერთო მფლობელობაზე**

თხზულება

ანტონ ფურცელაძისა.

გამოცემული

ზაქარ ჭიჭინაძისაგან.

ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

---

დაიბეჭდა, გამოვიდა და ისყიდება

თფილისის წიგნის მაღაზიებში

**იგავ-არაკნი**

კრილოვისაგან და სიბრძნე-სიცრუიდგან გალექსილი თ. რ. ერისთვისა.

(3—3)

---

**ლონდონის მაღაზია** კომერციულს ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაი-გასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შრო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგირებისა, სუგრისისა (გემრიელი კლეშჩივინი ზეთისა) და სხვ. საავენტო მაკინტოშის მოსასხურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატკერის და კამფ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭაგანას სიგარები. (100—66)

---

ი. მურადოვის

**წიგნის მაღაზიაში**

# ქუთაისში

მუდამ არის დამზადებული საკმაოდ ყოველ გვარი სასწავლო წიგნები, რომელნიც კი მოეთხოვებად სავაჟო და საქალებო გიმნაზიებში, სახალხო და სამოქალაქო სკოლებში მოსწავლეთა. არის აგრეთვე დიდ-ძალი სასწავლო და სკოლაში სახმარო ნივთები და მოთხოვნილებისა დაგვარად დახაზული რვეულები, ასი—5 მანეთი., მუზიკალური ნოტები, სხვა და სხვა საწერი ნივთები და მასალეები უფრო იაფ ფასად, ვიდრე სხვაგან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა მოთხოვნილებას მაღაზია დაუყოვნებლივ აასრულებს და გამოგზავნის პირველივე წამომავალი ფოშტითა. (50—44)

---

**ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებულია** დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. იქვე **იყიდება**: პაროსინა 40 კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ—დამ; პადნოსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—59)

---

ბრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ) და ბ-ნი იოანნისიანთან (ოკრუჟნის სუდის ქვემოთ) ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემა:

**წითელი ფარანი**, ფასი 15 კ.

**ხატაური** — — — 10 კ.

---

# თფილ. ქალაქის გამგეობისაგან

26 ამ იანვრის თვეს თფილისის ქალაქის გამგეობისაგან დანიშნულია ვაჭრობა შჩებნის და გრავის იჯარით აღებაზედ ქუჩების შესაკეთებლად დაჭირდება 150 კუბიკური საჟენი შჩებნი მიხაილისა და ვორონცოვის მოსსეების შესაკეთებლად და 140 კუბიკური საჟენი გრავი ავთიაქის, და ბულვრის ქუჩებისათვის და კახეთის ლინეინის კაზარმებთან და ლაზარევის. ხოჯივანის სასაფლაოზედ მიმავალ მოსსეებისათვის.

გამგეობა იწვევს ამ იჯარის ამღებს მურველთ მობრძანდნენ ვაჭრობაზედ, 11 საათზე დილით ქალაქის გამგეობაში.

ყოველგვარი პირობების გაგება, რაც შეეხება ამ საგანს, შეიძლება ამისათვის დანიშნულს განყოფილებაში (Строительное отдѣленіе) გამგეობისა დილის 10 საათიდამ ნაშუადღევის 2 საათამდი. (3—1)

---

СЪ 1-го ЯНВАРЯ 1881 ГОДА

ГАЗЕТА

# КАВКАЗЪ

ВЫХОДИТЪ ПОДЪ НОВОЙ РЕДАКЦІЕЙ

ЕЖЕДНЕВНО, НЕ ИСКЛЮЧАЯ ПОНЕДѢЛЬНИКОВЪ, ВЪ КОЛИЧЕСТВѢ 345 №№ ВЪ ГОДЪ.

Редакція приметъ всѣ зависящія съ ея стороны мѣры, чтобы придать газетѣ возможно большій интересъ, какъ расширеніемъ программы, такъ и полнотою отдѣловъ, причемъ преимущественное вниманіе будетъ обращено на разработку мѣстныхъ вопросовъ.

**ПРОГРАММА:**

Часть офиціальная: Узаконенія, дѣйствія и распоряженія правительства, Высочайшіе приказы, приказы Намѣстника, циркуляры Намѣстника и Главнаго Управленія, извѣщенія, разнаго рода правительственныя и служебныя распоряженія.

Часть неофиціальная: I. Руководящія статьи: по вопросамъ, имѣющимъ обще-государственное или мѣстное значеніе. Ознакомленіе съ внѣшними политическими событіями‘ преимущественно въ восточныхъ государствахъ, сопредѣльныхъ съ Кавказомъ.

II. Мѣстныя извѣстія: а) Корреспонденціи изъ главнѣйшихъ пунктовъ края. б) Столичная и иностранная пресса о Кавказѣ. в) Туземная пресса: армянская, грузинская, татарская. г) Ходъ городскаго самоуправленія д) Новости о событіяхъ русской жизни. е) Тифлисская городская хроника, ж) Судебная хроника. з) Отчеты о засѣданіяхъ мѣстныхъ ученыхъ и другихъ обществъ.

III. Фельетонъ: а) Этнографическія статьи, бытовые очерки и путешествія по Кавказу. б) Рецензіи на книги, выходящія въ Россіи и за-границей, касающіяся Кавказа. в) Обозрѣніе общественной жизни. г) Научное обозрѣніе.

IV. Смѣсь. Курьезы, анекдоты и разныя извѣстія.

V. Справочный отдѣлъ.

VI. Казенныя и частныя объявленія

**Условія подписки:**

| | Съ доставкою въ Тифлисѣ. Руб. | Коп. | Съ пересыл. иногородн. Руб. | Коп. |
|---|---|---|---|---|
| На годъ | 11 | 50 | 13 | — |
| На полгода | 6 | — | 7 | — |
| На три мѣсяца | 3 | 50 | 4 | — |
| На одинъ мѣсяцъ | 1 | 50 | 1 | 75 |

Подписка принимается въ г. Тифлисѣ, въ конторѣ газеты „Кавказъ“, на дворцовой улицѣ, въ домѣ № 5. Иногородные адресуютъ свои требованія: въ Тифлисъ, въ редакцію газеты „Кавказъ“.

Разсрочка платежа подписныхъ денегъ допускается на слѣдующихъ условіяхъ; для городскихъ подписчиковъ: при подпискѣ 5 р., въ концѣ марта 4 рубля и къ 1-му августа 3 руб. Для иногородныхъ: при подпискѣ 6 р., 1-го апрѣля 5 р., 1-го августа 3 р. (3—2)

---

# ისყიდება

25% ნაკლებ [illegible] სხვა ალაგას ჩაი, კაკაო, შეკოლადი, ბისკვიტი, მურაბა, ბრინჯი, ჭურჭლები, სტაქნები, ბაკლები, თეფშები, ჩაინიკები, სუდოკები, ფოდნოსები, პირის-საბანი, კლიტეები, სამურველი, ტანისამოსის საკიდი, კოვზები, დანები, კალმები, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, კარანდაშები, თოფები, რევოლვერები, კრაგები, პლაშჩები, ვანები, ქამრები, საყელურები, კლიონკა, უნაგირები, ლაგმები, უთოები, ტახტები, პირისახოცი, ცხვირის-სახოცი, ჩულქები, ტუალეტის საპონი, დუხები, შარბათი, ციტმატმაგნეზია, ქინას ღვინო, პორტ-ვეინი, ხერესი, კონიაკი და ათასი სხვ. რამეები,—**ინგლისის მაღაზიაში**. იქვე ჩაი ვაჭართათვის ნარდათ: ფუთობით 40, 46, 52 და 58 მან. და გირვანქობით: 1 მ., 1 მ. 10 კ., 1 მ. 20 კ., 1 მ. 40 კ., 1 მ. 60 კ., 1 მ. 80., და უპირველი ხარისხისა 2 მ.—წონა უქაღალდოთ.

თოფები 20—60 მან., ჩოკ-ბორ (*choke bore*) *Ceorge Dau*-ს ფაბრიკიდამ—120 მან. რევოლვერები 4—34 მან. და ბულდოგისა 11—20 მ. ქალის უნაგირები 65 მან-დამ.; შეფილდის დანები ჩანგლებით 3 მან. 50 კაპ-დამ დუჟ., ალბომები ნახევარ ფასად, ფილტრები და სხვ.

ყველაზედ უმრავლესი ამორჩევა თოფებისა და რევოლვერებისა თფილისში. (100—66)

---

# ისყიდება

15,000 თეფში 1 ხარისხისა, თითო 15 კაპ.

12,000 ბროლის სტაქანი თითო 25 კაპ.

10,000 ბაკალი და სტაქანი თითო 10 კაპ.

10,000 ფოდნოსი და გასალები თითო 15 კაპ.

10,000 ნევსი, 8 კ. 40-მდინ ასი.

10,000 პენალი თავის პრიბორით თითო 5 კაპ.

5,000 ბოთლი პორტვეინისა და ხერესის თითო 1 მან.

2,000 არშინი კლიონკა 60 კაპ. 2 მან. არშინი.

2,000 დიუჟინი ყარანდაში და ყალმის ხელი 8 კ. 50 კაპ. დიუჟ.

2,000 გირვანქა ინდოეთის ბრინჯი 7, 8, 10 კაპ. გირვ.

1,000 გირვ. თვალთ-მაქცი ლეპიოშკა 50 კაპ. გირვ.

600 ინგლისის რევოლვერი 4 მან. 34-მდი.

300 ინგლისის თოფი თითო 20—100 მან.

დრაპი, მაუდი, ტრიკო, ალბომები, საზამთრო პალტოები, ქუდები, შარვლები და ტანისამოსი ნახევარ ფასად. **ინგლისის მაღაზიაში.** (40—23)


*Дозволено цензурою. Тифлисъ, 20 Января 1882 г.* *Типографія С. Меликова.* გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.